

**ეროვნული ანგარიში ორჭუსის კონვენციის განხორციელების  
შესახებ**

**სერტიფიცირების ფურცელი**

ანგარიში წარდგენილია საქართველოს სახელით მხარეთა კონფერენციის I/8 გადაწყვეტილების შესაბამისად

თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული მოხსენების წარდგენაზე:	გიორგი ზედგინიძე – მინისტრის მოადგილე
ხელმოწერა:	
თარიღი:	

**განხორციელების ანგარიში  
ინფორმაცია ანგარიშის შედეგის შესახებ**

მხარე	საქართველო
<b>ეროვნული საკონტაქტო პირი</b>	
ორგანიზაციის სრული დასახელება:	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
პირის თანამდებობა, სახელი და გვარი:	გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი, ორჭუსის კონვენციის ეროვნული პასუხისმგებელი პირი – ნინო გოხელაშვილი
საფოსტო მისამართი:	0114
ტელეფონი:	+995 32 727 223
ფაქსი:	+995 32 727 223
ელ-ფოსტა:	<a href="mailto:international@moe.gov.ge">international@moe.gov.ge</a> ; <a href="mailto:n.gokhelaashvili@moe.gov.ge">n.gokhelaashvili@moe.gov.ge</a>
<b>საკონტაქტო პირი ეროვნული ანგარიშისათვის (თუ განსხვავდება):</b>	
ორგანიზაციის სრული დასახელება:	
პირის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
საფოსტო მისამართი:	
ტელეფონი:	
ფაქსი:	
ელ-ფოსტა:	

**I. ანგარიშის მომზადების პროცესი**

*მოკლედ აღწერეთ ანგარიშის მომზადების პროცესი. მიუთითეთ, რომელმა*

საჯარო დაწესებულებებმა მიიღეს მონაწილეობა ან წარმოებდა მათთან კონსულტაციები, როგორ მიიღო მონაწილეობა საზოგადოებამ და როგორ იქნა საზოგადოების მონაწილეობის შედეგები გათვალისწინებული. რა მასალას დაეყრდნო ანგარიში.

**არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია რა მასალას დაეყრდნო ანგარიში (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა).**

– ანგარიშის პროექტი მომზადდა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ, რომელიც გადაეგზავნა სამთავრობო სტრუქტურებს (ქვევით გრაფაში არის მოცემული), მათი მხრიდან დამატებების/კომენტარების შესატანად. ზოგადად, ორპუსის კონვენციის ანგარიში მზადდება წინა ანგარიშზე (ამ შემთხვევაში, მეორე ეროვნულ ანგარიშზე) დაყრდნობით. სამთავრობო სტრუქტურებიდან მიღებული ინფორმაციის ანგარიშის პროექტში შეტანის შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტი გავრცელდა ელექტრონულად საზოგადოების განსახილველად და მათგან კომენტარების მისაღებად. თქვენი ინფორმაციისათვის გაწვდით სამინისტროს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა აღნიშნული ანგარიშის პროექტის მომზადებაში: გარემოს ეროვნული სააგენტო, სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური, იურიდიული დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, გარემოს დაცვის ინსპექცია, ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური, გარემოსდაცვითი პოლიტიკის სამმართველო, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური.

კონვენციის სამდივნოს მოთხოვნის შესაბამისად, ანგარიშში ასეთი დაწვრილებითი ინფორმაცია არ იქნება მითითებული. საჯარო განხილვის შემდეგ, დამატებული იქნება ინფორმაცია, თუ როდის მოხდა ანგარიშის პროექტის გავრცელება საზოგადოებიდან კომენტარების მისაღებად, როდის მოეწყო საჯარო განხილვა და ა.შ. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

**პასუხი:**

სამინისტროში მომზადებული ანგარიშის პროექტი 2010 წლის 9 აგვისტოს კომენტარებისათვის გაეგზავნა სხვა სამთავრობო სტრუქტურებს (საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; სოფლის მეურნეობის სამინისტროს; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; ფინანსთა სამინისტროს; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; საგარეო საქმეთა სამინისტროს; ენერგეტიკის სამინისტროს; იუსტიციის სამინისტროს; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; უზენაეს სასამართლოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს; თბილისის მერიასა და საქართველოს სახალხო დამცველს).

## II. ძირითადი საკითხები, რაც მნიშვნელოვანია ანგარიშის გასაგებად (ალსაქმელოვ)

მიუთითეთ ყველა ის მომენტი, რომელიც მნიშვნელოვანია ანგარიშის აღსაქმელად, მაგ: ფედერალური ან დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურის არსებობა; აქვს თუ არა კონვენციის დებულებებს უშუალო მოქმედების ძალა; წარმოადგენს თუ არა ფინანსური პრობლემები მნიშვნელოვან დაბრკოლებას კონვენციის განხორციელებისათვის და სხვა.

პასუხი:

კონვენცია მოქმედებს უშუალოდ; “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” (მუხლი 6, პუნქტი 2) საქართველოს კანონის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას უპირატესობა აქვს ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით).

კონვენციის სათანადოდ განხორციელებისათვის საჭიროა პროცედურების დახვეწა.

**გაუგებარია რა პროცედურებზეა საუბარი, როდესაც კანონმდებლობა მოდის წინააღმდეგობაში კონვენციასთან (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა).**

– საუბარია იმ პროცედურებზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა წინააღმდეგობები არ იქნეს ამ პროცესში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

ფინანსური პრობლემები მნიშვნელოვნად აბრკოლებს როგორც ინფორმაციის მოგროვებას, ასევე მისი დამუშავებას, გამოცემას და გავრცელებას.

**III. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუხლი 3-ის მე-2, მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტების განხორციელებას**

ჩამოთვალეთ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-3 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტების განხორციელებას

ახსენით როგორ ხორციელდება ეს პუნქტები. კერძოდ, აღწერეთ:

- (a) მე-2 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამდებობის პირები და ხელისუფლების ორგანოები ეხმარებოდნენ და აკვალიანებდნენ საზოგადოებას;
- (b) მე-3 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის;
- (c) მე-4 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადო აღიარება და მხარდაჭერა ჰქონდეთ გარემოსდაცვითი საქმიანობის ხელშემწყობ ასოციაციებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს;
- (d) მე-7 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული საერთაშორისო დონეზე კონვენციის პრინციპების ხელშესაწყობად;
  - (i) ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა სამინისტროებში და სამინისტროებს შორის კოორდინაციისათვის, რათა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებში ჩართული ოფიციალური პირები ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ კონვენციის მუხლი 7-ის, პუნქტი 3-ის და აღმა-ათის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ;
  - (ii) ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა ეროვნულ დონეზე საერთაშორისო ფორუმების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. მიუთითეთ, თუ რა სტადიაზე ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება;
  - (iii) ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა ეროვნულ დონეზე საერთაშორისო ფორუმებთან დაკავშირებით საზოგადოების მონაწილეობის

ხელშესაწყობად (მაგ. არასამთავრობო სექტორის მიწვევა ქვეყნის დელეგაციებში საერთაშორისო გარემოსდაცვითი მოლაპარაკებების დროს მონაწილეობის მისაღებად ან არასამთავრობო სექტორის ჩართვა ასეთ მოლაპარაკებებში ქვეყნის ოფიციალური პოზიციის ჩამოსაყალიბებლად). მიუთითეთ, თუ რა სტადიაზე ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება;

(iv) ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა კონვენციის პრინციპების ხელშესაწყობად სხვა საერთაშორისო ფორუმების პროცედურებში;

(v) ზომები, რომლების მიღებულ იქნა კონვენციის პრინციპების ხელშესაწყობად სხვა საერთაშორისო ფორუმების სამუშაო პროგრამებში, პროექტებში, გადაწყვეტილებსა და სხვა ძირითად საკითხებში.

(e) **მე-8 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ პიროვნებები, რომლებიც კონვენციით მინიჭებულ უფლებებს იყენებენ, არ იყვნენ დასჯილნი, დევნილნი ან შეზღუდულნი.

*პასუხი:*

(a) კონვენციის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, კონვენციას აქვს უპირატესი ძალა (იხ. პასუხი წინა შეკითხვაზე). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია შემდეგი: 1996 წლის 10 დეკემბრის “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულია მოქალაქეთა უფლებები გარემოს დაცვის სფეროში. კერძოდ, ამ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში, აგრეთვე, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ამავე კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს სამ წელიწადში ერთხელ წარუდგენს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. საგაღმადლო ალნიშნული მოხსენების გამოქვეყნება მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამავე კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, “გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების სტრატეგია). აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობა მდგრადი განვითარების სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში”.

**ეს პასუხი არ შეესაბამება კითხვას.**

პასუხში წარმოდგენილია კანონის მოთხოვნები, რომლებიც გარდა იმისა, რომ არ სრულდება, არ წარმოადგენს ადეკვატურ პასუხს დასმულ კითხვაზე: “რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამდებობის პირები და ხელისუფლების ორგანოები ეხმარებოდნენ და აკვალიანებდნენ საზოგადოებას?”.

**(18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– ერთის მხრივ, პასუხში მოცემულია ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნები, ხოლო, მეორეს მხრივ – მისი პრაქტიკული განხორციელება (რაც მოცემულია შეკითხვაში). ამასთანავე, აქვე დამატებული იქნება სამინისტროს შენობაში

ახალი მომსახურების – საინფორმაციო ცენტრის – გახსნა, რომლის მიზანიც სწორედ საზოგადოების “დაკავალიანება” გახლავთ და რომელიც ანგარიშის პროექტის მომზადების შემდეგ გაიხსნა. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

გარდა ამისა, პასუხი იდენტურია 2005 და 2007 წლის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციისა. გაუგებარია რაში გამოიხატება პროგრესი. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– გეთანხმებით, რომ სასურველია ქვეყნებს ყველა პუნქტთან დაკავშირებით გარკვეული სახის პროგრესი ჰქონდეთ გამოხატული თითოეულ საანგარიშო პერიოდში. მაგრამ, ჯერჯერობით არ არსებობს არცერთი ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც, სადაც ყველა პუნქტთან დაკავშირებით შეინიშნება პროგრესი. ის გარემოება, რომ მოცემული პასუხი (და არა მხოლოდ ეს) იდენტურია წინა წლების პასუხების და კვლავ ასახულია ანგარიშის პროექტში, გამოწვეულია კონვენციის სამდივნოს მოთხოვნით. კერძოდ, წინა ანგარიშში მოცემული პასუხები, რომლებმაც ცვლილება არ განიცადეს მოცემულ საანგარიშო პერიოდში, დარჩენილ უნდა იქნეს ახალ ანგარიშებშიც. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(ბ) “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, “მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე. საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლებისა და სპეციალისტების მომზადების მიზნით დადგენილია გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს”. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემუშავებული აქვს “მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა”, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2002 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

**ეს პასუხი არ შეესაბამება კითხვას.**

პასუხში გაურკვეველი მიზნით წარმოდგენილია 1996 წელს მიღებული კანონის ნორმა, რომელსაც არასოდეს უმუშავია: “საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლებისა და სპეციალისტების მომზადების მიზნით დადგენილია გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს”. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– შეკითხვის თანახმად, ანგარიშში მითითებულ უნდა იქნეს ინფორმაცია კანონმდებლობის შესახებ. სწორედ ამიტომ არის მითითებული ზემოთ მოცემული კანონი. რაც შეეხება საკითხის პრაქტიკულ განხორციელებას, მოგახსენებთ, რომ ანგარიშში საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობიერების ამაღლების საკითხში გაწეული ქმედებების შესახებ. მიტომ, ერთიდაიგივეს გამეორება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამასთანავე, კონვენციის სამდივნოს მითითებით, შეზღუდვას ანგარიშში სიტყვების რაოდენობაში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

გაუგებარია რა მიზანს ემსახურება წარმოდგენილი ინფორმაცია: “გარემოს

დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემუშავებული აქვს “მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა”. რომელიც დამტკიცებულ იქნა 2002 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით” – როდესაც პასუხი უნდა ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდში გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის მიღებულ ზომებს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– დამატებით ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა, არსებული პასუხის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება იმ ზომების შესახებ, რაც გატარებულ იქნა გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და რაც მოცემულ პროგრამაში გახლავთ ასახული. დამატებით იხ. პასუხი ტქვენს წინა კომენტარზეც. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

გარდა ამისა, პასუხი იდენტურია 2005 და 2007 წლის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციისა. გაუგებარია რაში გამოიხატება პროგრესი. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– იხ. ამავე თავის უნქტი (ა)-ს პასუხი თქვენს კომენტართან დაკავშირებით. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(c) “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ გარემოსდაცვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და მათ სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანაბარი უფლებები გააჩნიათ.

არასამთავრობო ორგანიზაციის რეგისტრაციის პროცედურები საკმაოდ მარტივია, რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობებს.

„საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის საფასური 1 სამუშაო დღის ვადაში შეადგენს – 100 ლარს<sup>1</sup>;

არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომელიც კრძალავს გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას. საკანონმდებლო (თუ სხდომა დახურულად არ არის გამოცხადებული, მაგრამ, გამომდინარე გარემოსდაცვითი სპეციფიკიდან და სამართლიდან, ეს შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია) და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჩატარებულ შეხვედრებსა და საკომიტეო მოსმენებში საკონსულტაციო სტატუსით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

1. გაუგებარია რას ნიშნავს: “გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ

გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– ეს ნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ უფლება გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებიდან გამოითხოვონ ინფორმაცია, გაეცნონ, მიაწოდონ ამავე ორგანოებს შენიშვნები და კომენტარები და, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ კიდევ. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

2. თუ აქ იგულისხმება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, გაუგებარია რას ეყრდნობა ეს მტკიცება. მართლაც, არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომელიც პირდაპირ კრძალავს გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას; მაგრამ ამავედროულად, არ არსებობს ნორმა, რომელიც ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– იხ. პასუხი მე-3 კომენტარზე. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

3. ამაჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სხდომების საჯაროობის ვალდებულება მხოლოდ კოლექტიურ საჯარო დაწესებულებებს აქვთ. შესაბამისად, ჩართულობის შესაძლებლობა მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებობს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– თვენს მე-2 და მე-3 კომენტართან დაკავშირებით მაგალითისათვის მოგახსენებთ, რომ პირადად თქვენი ორგანიზაცია, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ყოველთვის იღებს ინფორმაციას ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურისგან მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, იღებს გზ-მ-ს ანგარიშის ვერიფიკაციას, რომელიც მომზადებულია საზოგადოების მხრიდან მიღებული კომენტარების შემდეგ, რაზეც ეძლევა კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ორპუსის ცენტრის პარლამენტისადმი მიმართვის საფუძველზე, კანონპროექტების საპარლამენტო განხილვების შესახებ ინფორმაცია გამოვ ზავნილი იქნება ორპუსის ცენტრში, რომელიც, თავის მხრივ გაავრცელებს ინფორმაციას CENN-ის საშუალებით, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ განხილვებში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 153-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულია კანონპროექტის განხილვის მიზნით კომიტეტის სხდომაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრების და სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

(d) 2006 წ. ქვეყნის მასშტაბით, ყველა შესაბამის ორგანიზაციას მიეწოდა აღმა-ათის სახელმძღვანელო პრინციპები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საერთაშორისო გლობალურ და რეგიონულ გარემოსდაცვით პროცესებში საქართველო ყოველთვის უჭერს მხარს გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას ორპუსის კონვენციის

პრინციპების შესაბამისად.

ზოგადად, საერთაშორისო ფორუმებში არასამთავრობო სექტორი მუდმივად იღებს მონაწილეობას. ქვეყნის შიგნით გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში, შესაძლებლობის შემთხვევაში, მთავრობა მათი მონაწილეობისათვის ითვალისწინებს გარკვეული სახის ფინანსურ შეღავათებს. მთავრობა ასევე ხელს უწყობს არასამთავრობო სექტორს ქვეყნის ოფიციალურ დელეგაციებში ჩართვის კუთხით.

(e) ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, “გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონით” და “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით”. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა (მათ შორის კონვენციით მინიჭებულ უფლებათა) და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

#### IV. მუხლი 3-ის განხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-3 მუხლის ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელებას.

პასუხი:

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 22 აპრილის №77 დადგენილების თანახმად, შექმნილია საქართველოს მდგრადი განვითარების სამთავრობო კომისია. აღნიშნული დადგენილების თანახმად, კომისიის სამდივნოს ფუნქცია ეკისრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. ქვეყანას, ჯერ-ჯერობით არ გააჩნია მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს ინიციატივით და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის დახმარებით მომზადდა ქვეყანაში 2003 წლიდან დღემდე გარემოსდაცვით საქმიანობათა ეფექტურობის მიმოხილვა (EPR II). ამასთანავე, შემუშავების პროცესშია გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული გეგმა (NEAP 2). ასევე, ევროკავშირის დახმარებით, მიმდინარეობს 2007-2009წწ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების დოკუმენტის შემუშავება (SoE). ზემოაღნიშნული დოკუმენტები (NEAP, EPR და SoE) წარმოადგენენ მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადების საფუძველს.

**სრულიად გაუგებარია, რა კავშირი აქვს წარმოდგენილ ინფორმაციას ზოგადად კონვენციის მესამე მუხლთან და მითუმეტეს კითხვასთან. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– მუხლი 3-ის შესაბამის პასუხებში ნახსენებია სწორედ მდგრადი განვითარების სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ. აქვე მითითებულია, რომ, სამწუხაროდ, ქვეყანას აღნიშნული სტრატეგია ჯერ არ აქვს შემუშავებული. ამასთანავე, ვინაიდან 2010 წელს სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი (რაც მითითებულია ზემოთ), ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ეს დოკუმენტები და მათში მოცემული რეკომენდაციები წარმოადგენს მდგრადი განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბების რეალურ საფუძველს და წინაპირობას, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია კონვენციის პრინციპების განხორციელებასთან. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

#### V. დამატებითი ინფორმაცია მუხლი 3-ის დებულებების პრაქტიკული



## ბამოყენების შესახებ

მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია კონვენციის ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ.

პასუხი:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახური.

2009 წელს სამინისტროში ამოქმედდა ცხელი ხაზი "070." მისი მეშვეობით მოქალაქეებს საშუალება აქვთ დროულად მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, ასევე, სამინისტროს მიაწოდონ ინფორმაცია დარღვევის შესახებ და ოპერატიულად მოხდეს მათზე რეაგირება. შექმნილია ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი.

სამინისტროს ხელმძღვანელობას აქვს მოქალაქეთა მიღების საათები, რაც ხელს უწყობს სამინისტროს მუშაობის გამჭვირვალობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აქტიურად მუშაობს საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლების და ცნობიერების ამაღლების კუთხით, კერძოდ:

ამ მიზნით მიზნობრივი ჯგუფებისთვის ეწეობა კონფერენციები, სემინარები და ტრენინგები სხვადასხვა თემებზე;

სამინისტრო საერთაშორისო გარემოსდაცვით დღეებთან დაკავშირებით ქვეყნის მასშტაბით სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით რეგულარულად ატარებს ნახატების გამოფენა-კონკურსებს, გამწვანების და დასუფთავების აქციებს და სხვადასხვა ღონისძიებებს;

2008-2009 წლებში მოეწყო მინისტრის შეხვედრები თითქმის ყველა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან;

სამინისტროს ინიციატივით დაარსდა სტუდენტური "მწვანე კლუბი", რომლის წევრებიც აქტიურად მონაწილეობენ სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა გარემოსდაცვით აქციებში;

2009 წელიდან ყოველთვიურად ვრცელდება სამინისტროს ღონისძიებების ამსახველი ელექტრონული ჟურნალი "Newsletter", რომელშიც წარმოდგენილია სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის ყოველთვიური ანგარიში. ჟურნალი განკუთვნილია არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს წრეების და მასმედიის წარმომადგენლებისათვის;

სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს მიერ შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომლის წევრები არიან საზოგადოებისთვის ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანები. საბჭოს მიზანია, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

სამინისტროს საქმიანობის შესახებ 2009 წ. "სახალხო დიალოგის" ფორმატში 100-მდე შეხვედრა გაიმართა. საქართველოს სხვადასხვა დიდ ქალაქში მოეწყო აქციები – "ანგარიში ხალხს", რომლის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის სამინისტროს საქმიანობის გაცნობა.

მიმდინარეობს ყოველკვირეული მედია-პროექტები:

"მწვანე ეთერი" - ტელეკომპანია "მზის" ეთერსა და რადიო "იმედის" ეთერში;

სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დახმარებით და საერთაშორისო

პროექტების ფარგლებში მუდმივად ტარდება კონფერენციები, სიმპოზიუმები და შეხვედრებითი-საგანმანათლებლო კამპანიები სკოლის მოსწავლეების, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ფართო საზოგადოებისათვის გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს ერთ-ერთი ვალდებულებების – წყლის სააუზო მართვაზე – გადასვლასთან დაკავშირებით, ქართულ ენაზე ითარგმნა ევროკავშირის 5 დოკუმენტი – ღირეუქტივები და სხვა შესაბამისი მასალა, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და დოკუმენტური ფილმი წყლის რესურსების მართვის თემაზე;

ოზონდამშლელ ნივთიერებებთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების რამოდენიმე ცენტრში დაინერგა სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების დარგის ტექნიკოსთა პროგრამა, ცენტრებს უსასყიდლოდ გადაეცათ სპეციალური აღჭურვილობა და დარგის მომსახურების ხელსაწყო-დანადგარები, 3 საუკეთესო სტუდენტი გაიგზავნა გერმანიაში სტაჟირებაზე; ჩატარდა შეხვედრები და სემინარები; მომზადდა ფართო სპექტრი შესაბამისი სახელმძღვანელო და სასწავლო მასალები, სტატიები; განხორციელდა სადემონსტრაციო პროექტები;

სამინისტროს წარმომადგენლები მუდმივად იღებენ მონაწილეობას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ტელე-რადიო გადაცემებში. ასევე, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, აწეობენ შეხვედრებს მოსახლეობასთან.

საქართველოს მიწისქვეშა წყლების, უნიკალური გეოლოგიური ძეგლების, მყარი მინერალური რესურსების, წიაღით სარგებლობისა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით 2010 წლის ბოლომდე მოეწეობა სემინარები.

საზოგადოების ინფორმირება, განათლება და ცნობიერების ამაღლება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მღვრადი გამოყენების მიმართულებით ბოლო წლებში სამინისტროს მიერ განხორციელებული ყველა პროექტის კომპონენტია;

მნიშვნელოვნად გააქტიურდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომლობა მას-მედიასთან ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით;

სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიმდინარეობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სპეციალობით “ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტი და დაცვა”; ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები მეზაჟეებისათვის “გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” (CITES) კონვენციის საკითხებთან დაკავშირებით. 2009 წელს აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა 100 მეზაჟისათვის, 2010 წელს კი დაგეგმილია ტრენინგში გარემოს დაცვის ინსპექციის, აეროპორტის და იურიდიული სამსახურების ჩართვა;

მომზადდა ვებ-გვერდი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შესახებ [biomonitoring.moe.gov.ge](http://biomonitoring.moe.gov.ge) და ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრის ვებ-გვერდი [chm.moe.gov.ge](http://chm.moe.gov.ge).

უნიკალური ობიექტების დაცვისა და მოვლის, ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებისა და ეკო-ტურიზმის განვითარების მიზნით მიმდინარეობს კამპანიები მოსახლეობისა ცნობიერების ასამაღლებლად. შემუშავებულ იქნა

„დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის კონცეფცია” და „დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის ინსტრუქცია”;

მიმდინარეობს შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან. მათ უტარდებათ სემინარები, პრეზენტაციები, ტრენინგები დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით. დაცულ ტერიტორიებზე ეწეობა ეკო-ტურები, ფესტივალები, პრომო-და დასუფთავების აქციები, დარგვა-აღდგენითი ღონისძიებები; ასევე ეწეობა ეკო-ბანაკები, როგორც საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის, ასევე, იძულებით გადაადგილებული და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის, სკაუტებისთვის;

2010 წელს დაცული ტერიტორიებს სააგენტოს წარმომადგენლების მიერ სემინარები ჩატარდა 440-მდე სკოლაში, რომელსაც დაესწრო 34000-მდე ადამიანი (2008წ სემინარებში მონაწილეობა მიიღო 15200-მა ადამიანმა, 2009წ – 18588-მა);

დაცული ტერიტორიების სააგენტოში შემუშავდა საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგის კვლევის კითხვარი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით იგეგმება შესაბამისი ქმედებები დაცულ ტერიტორიებზე და დამხმარე ზონებში. 2010 წლის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ წინა წლებთან შედარებით მოსახლეობის ცნობადობა დაცული ტერიტორიების და მისი მნიშვნელობის შესახებ დაახლოებით 14%-ით გაიზარდა; მოსახლეობის ჩართულობისა და დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით დაცული ტერიტორიებისათვის 2010 წელს საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა მეგობართა ასოციაციები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ადგილობრივი მოსახლეობის, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით);

მომზადდა სარეკლამო რგოლები, ოთხი ქართულ-ინგლისური მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი და დოკუმენტურ-შემეცნებითი სატელევიზიო გადაცემები დაცული ტერიტორიების შესახებ, რომლებიც ცენტრალური არხის საშუალებით გადაიცემა;

შექმნილია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდი ([www.apa.gov.ge](http://www.apa.gov.ge)).

სამინისტროს ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, გარემოს დაცვის ინსპექციაში, შეიქმნა ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს ინსპექციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და, ასევე, საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ვებ-გვერდზე რეგულარულად განთავსდება ინფორმაცია ინსპექციის დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ახალი რეგულაციების შესახებ, ასევე – საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაცია. აქვე მიიღება საზოგადოებისგან შეკითხვები და პრეტენზიები, რომელზედაც ინსპექცია, თავისი კომპეტენციების ფარგლებში, ვასცემს პასუხს.

2009 წელს რეგულირების ობიექტებისათვის (განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის) მომზადდა და გავრცელდება საინფორმაციო ბუკლეტი “რა უნდა ვიცოდეთ გარემოსდაცვითი ინსპექტირების შესახებ”. ბუკლეტის მიზანია მოკლედ გააცნოს მეწარმეებს გარემოსდაცვითი ინსპექტირებისას მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები, და ასევე მათი (მეწარმეების) უფლებები.

2010 წლის აგვისტოში დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებში მომზადდა და მეწარმეებს დაურიგდებათ საინფორმაციო ბუკლეტები გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესახებ, რომელთა დაცვა სავალდებულოა მეწარმეებისათვის.

“გარემოს დაცვის ინსპექციის სტრატეგია 2007-2010 წლებისათვის” ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორში გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობი კომპლექსური პროგრამის (ღონისძიებების) შემუშავებას. ასეთი ღონისძიებების შემუშავების საწყის ეტაპზე გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ მიმდინარე პროექტის – „საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფი სისტემის საფუძვლების შექმნა” – ფარგლებში მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელო “მცირე ბიზნესი და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულება”.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას არსებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად; სამინისტროსა და მომიჯნავე სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს, ასევე ბიზნესის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, უტარდება ტრენინგები გარემოს საკითხებთან დაკავშირებულ მათთვის საჭირო თემატიკაზე.

გარემოს მდგომარეობის შესახებ 2001, 2002, 2003, 2004 და 2005 წლების ეროვნული მოხსენებები განთავსებულია “ორჰუსის ცენტრი“-ს ვებ-გვერდზე. ორჰუსის ცენტრის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნა 2008-2010 წლებში განხორციელებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე. მონაცემთა ბაზა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: საქმიანობის განმახორციელებელი, პროექტის დასახელება და განხორციელების ადგილი, გზშ-ს ავტორი, გზშ-ს საბოლოო ანგარიში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და ბრძანება ნებართვის გაცემის შესახებ;

გარდა ამისა, ორჰუსის ცენტრის ვებგვერდზე რეგულარულად თავსდება ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების პროცესში იმყოფებიან, კერძოდ: პროექტის დასახელება, პროექტის განმახორციელებელი, განხორციელების ადგილი, წინასწარი გზშ-ს ანგარიში, საჯარო განხილვის დრო და ადგილი, წერილობითი შენიშვნების წარდგენის ვადები, მისამართები, სადაც შესაძლებელია გზშ-ს ანგარიშების მოპოვება და წერილობითი შენიშვნების გაგზავნა;

ორჰუსის ცენტრის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან და სამართლის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით 2009 წელს ჩატარდა მოსამართლეთა ტრენინგი ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მოთხოვნების დეტალურად გაცნობისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ტრენინგი ჩატარდა ორჰუსის კონვენციის შესრულების კომიტეტის ექსპერტმა;

ორჰუსის ცენტრის მიერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 2009 წლიდან მომზადდა და დაინერგა სალექციო კურსი – საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის;

ორჰუსის ცენტრისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი ინიციატივით, 2009 წლიდან ამავე ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მომზადდა და წელიწადში ერთხელ ტარდება ინტენსიური სასწავლო კურსი სახელწოდებით – ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში.

აღნიშნული კურსის წარმატებულად გავლისა და შესაბამისი ტესტირების გავლის შემდეგ, სტუდენტებს ენიჭებათ სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრული კრედიტები;  
2010 წელს ორპუსის ცენტრის მიერ მომზადდა სარეკლამო რგოლები ორპუსის კონვენციით მინიჭებული საზოგადოების უფლებების შესახებ. სარეკლამო რგოლების საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასვლა დაგეგმილია 2010 წლის შემოდგომიდან.

**VI. მუხლი 3-ის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**

სათანადო ინტერნეტ-მისამართები:

<http://moe.gov.ge>; <http://aarhus.ge>; [www.apa.gov.ge](http://www.apa.gov.ge); [biomonitoring.moe.gov.ge](http://biomonitoring.moe.gov.ge); [www.gdi.gov.ge](http://www.gdi.gov.ge); [chm.moe.gov.ge](http://chm.moe.gov.ge).

**VII. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მუხლი 4-ის დებულებების განხორციელებას**

ჩამოთვალეთ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მე-4 მუხლის დებულებების განხორციელებას

განმარტეთ, როგორ ხორციელდება მე-4 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:

- (a) **მე-2 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ:
  - (i) ნებისმიერ პირს ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე ინტერესის დასაბუთების აუცილებლობის გარეშე;
  - (ii) ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაციის შემცველი ფაქტიური დოკუმენტების ასლები;
  - (iii) ინფორმაცია გაიცემოდეს მოთხოვნილი ფორმით;
- (b) რა ზომებია მიღებული **მე-2 პუნქტში** მითითებული ვადების დასაცავად;
- (c) **მე-3 და მე-4 პუნქტებთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:
  - (i) უზრუნველყოფილ იქნეს მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის წარდგენის არსებული პრაქტიკიდან გამონაკლისი შემთხვევების მითითება;
  - (ii) უზრუნველყოფილ იქნეს მე-4 პუნქტის ბოლოს მითითებული საზოგადოებრივი ინტერესის კრიტერიუმების გამოყენება;
- (d) **მე-5 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომელსაც მოთხოვნილი ინფორმაცია არ გააჩნია, განახორციელოს კონვენციის მოთხოვნები;

- (e) მე-6 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულდეს ინფორმაციის გამოყოფისა და გახსნის მოთხოვნა;
- (f) მე-7 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ უარის შემთხვევაში დაცული იქნეს ვადები და სხვა შესაბამისი მოთხოვნები;
- (g) მე-8 პუნქტთან დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ შესრულდეს ინფორმაციის მიწოდებისათვის დაწესებული გადასახადის მოთხოვნები.

*პასუხი:*

*საქართველოს 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (განსაკუთრებით მისი III თავი) ძირითადად ფარავს ორპუნის კონვენციის მე-4 მუხლის მოთხოვნებს. ანუ, საქართველოში საჯარო დაწესებულებებში არსებული მთელი ინფორმაცია (არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ინფორმაცია), თუკი იგი კანონის მიხედვით დასაიდუმლოებული არ არის, ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.*

*ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 37).*

*გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია, ასევე, მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მიეკუთვნება იმ კატეგორიის ინფორმაციას, რომლის დასაიდუმლოება დაუშვებელია (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42, ა)*

(a) (i) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, პირი არ არის ვალდებული მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი;

(ii) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პუნქტი 1-ის თანახმად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს ინფორმაციის მომთხოვნს სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

(iii) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პუნქტი 2-ის თანახმად, თუ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში სხვადასხვა ფორმით არსებობს, პირს აქვს უფლება აირჩიოს მისთვის მისაღები ფორმა;

(b) საქართველოში ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილია კიდევ უფრო მკაცრი ვადები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 40-ის პუნქტი 2-ის თანახმად, ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია უკვე არსებული ფორმით. იგი არ არის ვალდებული შექმნას რაიმე ინფორმაცია საზოგადოების მოთხოვნის პასუხად (იხ. აგრეთვე მე-5 მუხლის შესრულების განხილვა). ამგვარი მიდგომა კონვენციის პრინციპებსაც შეესაბამება;

(c) (i) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოში არსებობს სულ ოთხი ტიპის საიდუმლო ინფორმაცია: პირადი საიდუმლოება (მუხლი 27<sup>1</sup>), კომერციული საიდუმლოება (მუხლი 27<sup>2</sup>), პროფესიული საიდუმლოება (მუხლი 27<sup>3</sup>), სახელმწიფო საიდუმლოება (მუხლი 27<sup>4</sup>). დადგენილია მკაფიო პროცედურები ინფორმაციისათვის

სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭებისათვის. ამ სტატუსის დოკუმენტებზე დასმულია სპეციალური შტამპი (გრიფი), რომელზეც აღინიშნება საიდუმლოების სტატუსი, გამსაიდუმლოებელი ორგანო და საიდუმლოების ვადა. 31-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, კომერციული და ასევე პროფესიული ინფორმაცია დასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება უვადოა. გადაწყვეტილება რაიმე ინფორმაციის დასაიდუმლოების ან მის დასაიდუმლოებაზე უარის თქმის შესახებ შედის საჯარო რეესტრში (ანუ ღიაა საზოგადოებისათვის, მუხლი 31). არსებობს ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის დასაიდუმლოება დაუშვებელია (მათ შორის ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროებათა შესახებ, რაც ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება, მუხლი 42);

მთელი ის ინფორმაცია, რომელიც ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, წარმოადგენს მის პერსონალურ მონაცემებს და მათი ღიაობის საკითხი თავად ამ პირის მიერ წყდება (მუხლები 27 და 27<sup>1</sup>). დაცულია აგრეთვე დოკუმენტის შემსრულებელ საჯარო მოხელეთა ვინაობა, გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა (აღმასრულებლის პრივილეგია, მუხლი 29)

ორპუნის კონვენციის მუხლი 4-ის პუნქტი 3-ის ქვეპუნქტი b) და პუნქტი 4-ის ქვეპუნქტები a), g), h) საქართველოში არ გამოიყენება.

- (ii) კონვენცია მოქმედებს უშუალოდ. საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან ღიაობის მისი მოთხოვნები.
- (d) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 80 ადგენს უფრო მაკრ მოთხოვნებს საჯარო დაწესებულებებისადმი. ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგი განცხადების მიღებისას საჯარო დაწესებულება ვალდებულია 5 დღის განმავლობაში დაადგინოს, თუ რომელ საჯარო დაწესებულების ფუნქციას შეესაბამება მოთხოვნილი ინფორმაციის ქონა და თავად გადაუგზავნოს განცხადება ამ საჯარო დაწესებულებას. თუ ასეთი დაწესებულება არ მოიძებნა, განცხადების შეტანიდან 5 დღის განმავლობაში განცხადება განმარტებითურთ უნდა დაუბრუნდეს განმცხადებელს.
- (e) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 33-ის თანახმად, დოკუმენტიდან საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ მისი დანარჩენი, გონივრულ ფარგლებში გამოცალკეებადი ნაწილი უნდა გაიხსნას. ამგვარი დოკუმენტის გაცემისას უნდა მიეთითოს დოკუმენტის ნაწილის დასაიდუმლოების შესახებ, გამსაიდუმლოებელი პირი, საფუძველი და ვადა.
- (f) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 41 აყენებს უფრო მაკრ მოთხოვნებს უარის თქმასთან დაკავშირებით, ვიდრე ამას ორპუნის კონვენცია ითვალისწინებს. უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. ამის შემდეგ 3 დღის ვადაში კი მას უნდა მიეწოდოს წერილობითი განმარტება, სადაც მითითებული იქნება ის დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაციები უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. აქვე განმარტებული უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და წესი.
- (g) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 99-ის თანახმად, ინფორმაციის მიღებისთვის არ შეიძლება დაწესდეს რაიმე საფასური ასლის გადაღებისა და ფოსტით გაგზავნისათვის საჭირო

თანხების ანაზღაურების გარდა. 2005 წლის 13 მაისის „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ კანონის თანახმად განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ასლის საფასურის რაოდენობა და გადახდის წესი.

**VIII. მუხლი 4-ის ბანკორცთმშობის დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები**

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-4 მუხლის დებულებების შესრულებას

პასუხი:

არის შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის დიდი მოცულობის შემთხვევაში 10 სამუშაო დღე არასაკმარისია მისი მოძიებისა და გაცემისათვის.

ამ კითხვაზე პასუხის შემთხვევაში მნიშვნელოვანია რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა დასკვნა. საუბარია აქ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრაქტიკაზე, თუ ზოგადად ქვეყნის (აღბათ, ქვეყანაზე უნდა იყოს საუბარია, არა?) (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ქვეყანა და არა მხოლოდ ერთი სამინისტრო. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჭუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

საჯარო უწყებებისაგან საჯარო ინფორმაციის მოპოვების მწვანე ალტერნატივას პრაქტიკა მკვეთრად განსხვავებულია:

1. არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის მოწოდების ვადები საჯარო უწყებების მიერ არ არის დაცული ყოველგვარი განმარტების გარეშე და ხშირად ეს არ არის დაკავშირებული ინფორმაციის მოცულობასთან;

2. ორგანიზაციას მიუღია არაერთი უარი მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებაზე. მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ზემოაღწერილი პროცედურა (3 დღის ვადაში წერილობითი განმარტების მოწოდება, სადაც მითითებული იქნება ის დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაციები უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და წესი). (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– რაც შეეხება თქვენს ორ კომენტარს, უნდა გაცნობოთ, რომ სამინისტროს კანცელარიაში მიწოდებულ იქნა თქვენი შენიშვნა, რომელიც არ დადასტურდა – არ მოიძებნა არცერთი პასუხგაუცემელი წერილი. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჭუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

3. ჩვენი გამოცდილებით, გასაიდუმლოებული ინფორმაციიდან გარემოსდაცვითი ინფორმაციის გამოცალკევების პრაქტიკა ქვეყანაში არ არსებობს. ამდენად, საინტერესო იქნებოდა სახელმწიფო უწყებებში არსებული ასეთ პრაქტიკასთან დაკავშირებული სტატისტიკა. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– დაგეთანხმებით, დასაიდუმლოებული ინფორმაციიდან გარემოსდაცვითი ინფორმაციის გამოცალკევების მოთხოვნა სამინისტროში დღემდე არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სხვა უწყებებს, მათ ამის შესახებ ინფორმაცია და კომენტარი არ გაუკეთებიათ. ვიმედოვნებთ, რომ საფუძვლიანად ვითვალისწინებთ რა თქვენს ინტერესს ქვეყანაში ასეთი პრაქტიკის არსებობასთან დაკავშირებით, შემდეგი ანგარიშის მომზადების დროს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს მივმართავთ თხოვნით, რომ ყურადღება გაამახვილონ ამ პუნქტთან დაკავშირებით (სამწუხაროდ, მოცემულ ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის ჩამატება დროის სიმძირის გამო ვეღარ მოხერხდება). (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჭუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)



პირი)
<b>IX. დამატებითი ინფორმაცია მუხლი 4-ის დებულებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ</b>
<p>მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დებულებების პრაქტიკული განხორციელების შესახებ. მაგ. წარმოებს თუ არა მიღებული მოთხოვნების, მათზე გაცემული უარყოფითი პასუხების და მათი მიზეზების სტატისტიკური აღწერა?</p>
<p><i>პასუხი:</i></p> <p>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 49-ის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბერს ყოველი საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ; არ ჩანს მოიცავს თუ არა ეს ანგარიში კითხვაში დასმულ საკითხებს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)</p> <p>– ვინაიდან ანგარიშში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ იგულისხმება სწორედ შეკითხვაში დასმული საკითხები, ვთვლით, რომ პასუხი ადეკვატურია. აქვე მითითებულია, რომ სტატისტიკური მონაცემები შეკითხვაში დასმული ფორმით არ წარმოებს. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჭუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)</p> <p>სპეციალური სტატისტიკა გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის შესახებ არ წარმოებს.</p>
<b>X. მუხლი 4-ის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები</b>
<p>სათანადო ინტერნეტ-მისამართები:</p> <p><a href="http://www.moe.gov.ge">http://www.moe.gov.ge</a></p> <p>აღბათ, ამ შემთხვევაში <a href="http://aarhus.ge">http://aarhus.ge</a> უფრო რელევანტური იქნებოდა (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)</p> <p>– ვეთანხმებით კომენტარს, ურჭუსის ცენტრის ვებ-გვერდის მისამართი დამატებული იქნება ანგარიშში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჭუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)</p>

**XI. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების შესახებ მე-5 მუხლის დებულებათა განხორციელებას**

<p>ჩამოთვალეთ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების შესახებ მე-5 მუხლის დებულებათა განხორციელებას.</p> <p>განმარტეთ, თუ როგორ ხორციელდება მე-5 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:</p> <p>(a) 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:</p> <p>(i) საჯარო დაწესებულებებს გააჩნდეთ და განაახლებდნენ გარემოსდაცვით ინფორმაციას;</p> <p>(ii) საჯარო დაწესებულებებში იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის სათანადო მოდინება;</p>
---

- (iii) საგანგებო სიტუაციებში სათანადო ინფორმაცია ვრცელდებოდეს დაუყოვნებლივ;
- (b) მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ გამჭვირვალე იყოს გზა, რომლითაც საჯარო დაწესებულებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ და ინფორმაცია საზოგადოებისათვის ეფექტიანად ხელმისაწვდომი იყოს;
- (c) მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის თანდათანობითი განთავსება საჯარო სატელეკომუნიკაციო ქსელების საშუალებით საზოგადოებისათვის იოლად ხელმისაწვდომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში;
- (d) მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული გარემოს მდგომარეობის ანგარიშების გამოცემისა და გავრცელების მხრივ;
- (e) რა ზომებია მიღებული მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გასავრცელებლად;
- (f) მე-6 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმ საწარმოთა ოპერატორების წასახალისებლად, რომელთა საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, რათა მათ რეგულარულად აცნობონ საზოგადოებას მათი წარმოებისა და პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
- (g) რა ზომებია მიღებული მე-7 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გამოქვეყნებისა და მიწოდებისათვის;
- (h) მე-8 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული ისეთი მექანიზმების დასანერგად, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის პროდუქციის შესახებ საკმაოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
- (i) მე-9 პუნქტთან მიმართებაში, რა ზომებია მიღებული დამაბინძურებელთა ეროვნული ინვენტარიზაციის ან რეესტრის ჩამოყალიბებისათვის.

*პასუხი:*

(a) (i) გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 27-ის პუნქტი 1-ის თანახმად, “გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობას”. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის კოორდინაციას ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (მუხლი 27, პუნქტი 2). გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის (მუხლი 27, პუნქტი 3). გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებასა და შეფასებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხლი 26, პუნქტი 2).

(ii) საწარმოებს, რომელთა საქმიანობაც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ნებართვის აღების შემდეგ ეკისრებათ ვალდებულება, შეასრულონ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში გათვალისწინებული პირობები. ხოლო პირობების შესრულებაზე

კონტროლს ახორციელებს გარემოს დაცვის ინსპექცია „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“ კანონის შესაბამისად. ყველა საწარმო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აწვდის წყალში ნაშვებისა და ჰაერში გაფრქვევის წლიურ ანგარიშს „სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების“ შესაბამისად.

(iii) ინფორმაცია იმ საშიშროებების თაობაზე, რომელიც ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება, ინფორმაცია სტიქიური უბედურებების, კატასტროფების ან სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას, დასაიდუმლოებას არ ექვემდებარება (სარათველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42, საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8).

“ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად: “საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და იურიდიული პირის ადმინისტრაცია ვალდებული არიან მოსახლეობას მიაწოდონ ოპერატიული და გასაგები ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალებით, მათ შორის – ინტერნეტით)” (მუხლი 8, პუნქტი 3).

ამავე კანონის მუხლი 8 ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას.

ამავე კანონის თანახმად, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა ითვალისწინებს: “ერთიან სისტემაში მყოფ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რეაგირების გეგმების ერთობლიობას, რომლებიც ითვალისწინებენ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას” (მუხლი 1 პუნქტი „ღ“).

“ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ” პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების თანახმად, საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხორციელდება საზოგადოებრივი და კერძო სამაუწყებლო საშუალებებით, აგრეთვე “ხმამაღლა მოლაპარაკე” საშუალებით მოწყობილი ავტომატური გამოყენებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის ძირითადი პრინციპებიდან აღსანიშნავია შემდეგი (მუხლი 4, პუნქტები ა) და ბ):

ა) პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით;

ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციების მკაფიოდ გამოიყენება და მათი მჭიდრო საინფორმაციო კოორდინაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვისა და აღსრულების დროს.

აღნიშნული კანონის თავი II ეხება მოსახლეობისა და იურიდიულ პირთა

უფლება-მოვალეობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში, რომლის მუხლი 5-ის „ე“ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია წარმოებასა და ტექნოლოგიურ პროცესებში სანიტარული ნორმების დარღვევით გამოწვეული ყველა საგანგებო სიტუაციის შესახებ.

ამავე კანონის მუხლი 35, პუნქტი 6-ის შესაბამისად, თავდაცვის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, რომელმაც შესაძლებელია საშიშროება შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ხელმისაწვდომია ყველსათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება საგანგებო სიტუაციების გამოწვევი მიზეზებისა და პირების დასადგენად.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 233 ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვის ან დამახინჯების შემთხვევაში. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 247-ით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვის ან გაყალბებისათვის.

- (b) თითოეული საჯარო დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს მის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის საჯარო რეესტრი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 35). საჯარო რეესტი ღიაა ყველასათვის.

ამავე კოდექსის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია დანიშნოს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ძირითადი საქმიანობა ინფორმაციის მოთხოვნებზე პასუხის გაცემა იქნება.

- (c) სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამინისტროს მიერ განხორციელებული და მიმდინარე ქმედებების შესახებ; ვებ-გვერდი მუდმივად განახლებადია.

**კითხვა ეხება გარემოსდაცვით ინფორმაციას და არა მინისტრის ბრიფინგებს და აქციებს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

- თქვენი კომენტარის თანახმად, ანგარიშში დამატებული იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2009 წლიდან ორპუსის ცენტრის ვებ-გვერდზე ხდება ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის “მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ” განთავსება, სადაც მოცემულია გარემოსდაცვითი ინფორმაცია, კერძოდ, ატმოსფერული ჰაერისა და წყლის შესახებ. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

- (d) “გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სამ წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ (მუხლი 14, პუნქტი 1). ანგარიშები განთავსებულია სამინისტროსა

და “ორჰუსის ცენტრის” ვებ-გვერდებზე.

**სამინისტროს ვებ-გვერდზე ანგარიშები არ არის განთავსებული. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– თქვენი კომენტარის თანახმად, ანგარიშში შევა შესწორება, სადაც მითითებული იქნება, რომ სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია 2006, 2007 და 2008 წლების ანგარიშები, ხოლო ეროვნული მოხსენებები განთავსებულია ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(e) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია მოცემული მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული შესაბამისი ინფორმაცია.

**ალბათ უნდა აიღწეროს რაში მდგომარეობს შესაბამისობა. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– თქვენი კომენტარის თანახმად, ანგარიშში ჩამატებული იქნება ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდიც, ვინაიდან მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაციის დიდი ნაწილი სწორედ ამ ცენტრის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

ინფორმაციის დროულად გავრცელების მიზნით, საკუთარი ვებ-გვერდის გარდა, სამინისტრო დამატებით იყენებს “ორჰუსის ცენტრის”, კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC) ელექტრონულ ქსელებს და, აგრეთვე, მედია საშუალებებს.

(f) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1999 წლის 15 იანვრის ბრძანება №3-ის თანახმად “ეკომარკირების შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ეკომარკას გასცემს საუწყებოთაშორისო კომისია.

(g) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების პრაქტიკა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კონსულტაციებისათვის.

**საინტერესოა, როდის იყო ბოლოს ასეთი შეხვედრა (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– საჯარო განხილვებს სატყეო პოლიტიკის (გასულ წლებში), გარემოსდაცვითი კოდექსის (ზოგადი და ასევე თითოეული თავის მიხედვით) და ა.შ. მუდმივად ესწრებოდნენ თქვენი წარმომადგენლებიც, საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, რომ აღარაფერი ვთქვათ გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშზე, რომელთან დაკავშირებითაც მუდმივად წარმოებს განხილვები და რომლისთვისაც სპეციალური ვებ-გვერდიც არის შექმნილი, სადაც დაწვრილებითი ინფორმაციაა განთავსებული ყველა იმ ქმედებასთან და საკითხთან დაკავშირებით, რაც ანგარიშს ეხება. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(h) 2003 წელს მიღებული საკანონმდებლო ნორმა უზრუნველყოფს პროდუქტის შეფუთვაზე პროდუქტის შესახებ ინფორმაციის ეროვნულ ენაზე

გამოსახვას.

(i) მომზადებულია დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრის (PRTR) შექმნის შესაძლებლობების ანალიზი. აგრეთვე, პროექტის “საქართველოში დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და მათი გადატანის ეროვნული რეესტრის შემუშავების შესაძლებლობების გაძლიერება და ქიმიკატების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის (SAICM) განხორციელების მხარდაჭერა” ფარგლებში მიმდინარეობს ეროვნული რეესტრის მოდელის შემუშავება.

## XII. მუხლი 5-ის ბანხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-5 მუხლის დებულებების შესრულებას.

პასუხი:

ინფორმაციის მოგროვება, სათანადოდ დამუშავება და გავრცელება გარკვეულწილად დარეგულირებულია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ ხდება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული გარკვეული სახის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ინტერნეტ გვერდზე განთავსება, გარკვეული პრობლემები და ხარვეზები ამ კუთხით მაინც არსებობს.

საჯარო დაწესებულებებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის დროულად მოპოვებისათვის საჭიროა შემუშავდეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც მნიშვნელოვნად გააიოლებდა ინფორმაციის მოძიებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო მუშაობს შესაბამის უწყებებთან.

ევროკომისიის დახმარებით მიმდინარეობს სამინისტროსა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის “გარემოს მდგომარეობის შესახებ 2007-2009 წლების ეროვნული მოხსენების” მომზადებისა და მოხსენების შედგენის არსებული წესის სრულყოფა. ევროკომისიის დახმარების ფარგლებში, გათვალისწინებულია 2007-2009წწ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების დაბეჭდვა ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოხსენების გარკვეული ტირაჟით დაბეჭდვას ამჯერად თავის თავზე იღებს სამინისტროც.

მე-5 და მე-7 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გავრცელებას აფერხებს ინფორმაციის გამოქვეყნების მაღალი ფასი.

“ეკომარკირების შესახებ” დებულება პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, რის მიზეზსაც, სავარაუდოდ, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეკომარკირება ნებაყოფლობით საწყისებზე ხორციელდება.

რეგიონებში ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები შედარებით მოგვარებულია: ფოსტა მუშაობს სათანადოდ, ინტერნეტი ხელმისაწვდომია, რის შედეგადაც ინფორმაციის მიმოცვლა გაადვილებულია.

## XIII. ღამატიებითი ინფორმაცია მუხლი 5-ის დებულებების პრაქტიკული ბაზოყენების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია მე-5 მუხლის დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ. მაგ. თუ არის ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებული ინფორმაციის შესახებ.

პასუხი:

სამინისტროში არსებობს საქმის წარმოების მონაცემთა ბაზა.

არსებობს ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოდინამიკური პროცესების, საინჟინრო დაცვისა და გარემოს დაბინძურების სფეროში მონაცემთა გადაცემის ინსტიტუციური სისტემა. ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ მომხმარებლისათვის მზადდება ორი ტიპის ინფორმაცია – სტანდარტული და სპეციალიზირებული. წინასწარ დადგენილია სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების შესახებ ინფორმაციის ფორმატები; ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ნუსხა, რომლებზეც სტანდარტული ინფორმაცია ვრცელდება სპეციალური მოთხოვნის გარეშე; რეგულარული ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემის ვადები და გადაცემის საშუალებები (კურიერი, ფაქსი, ელ.ფოსტა, ფოსტა). სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური, გარემოს დაბინძურების და ნაპირდაცვის პრევენციულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია ყველა მომხმარებელზე ვრცელდება უფასოდ. ხოლო სპეციალიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოდინამიკური პროცესების, სანაპირო ზონებში სამშენებლო საქმიანობის მიზანშეწონილობისა და გარემოს დაბინძურების შესახებ ინფორმაციის გაცემისათვის, რომელიც მზადდება მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, წესდება გარკვეული გადასახადი, რომელიც დამოკიდებულია ინფორმაციის გადამუშავებისათვის გაწეული მომსახურების ტიპზე.

ძირითადი გარემოსდაცვითი სახელმწიფო ქვედანაყოფები (ჰიდრომეტეოროლოგია, გეოდინამიკური პროცესები, ნაპირდაცვის პრევენციული ღონისძიებები, გარემოს დაბინძურება, ბიომრავალფეროვნება, ნარჩენები და სხვა) იმყოფებიან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომელთა უმეტესობა თავმოყრილია ამავე სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“. სააგენტოში მიმდინარეობს ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოდინამიკური პროცესების, ნაპირფორმირებისა და გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვების მონაცემთა ბაზების ერთმანეთთან დაკავშირება. რაც შეეხება სხვა გარემოსდაცვით სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში არსებულ მონაცემთა ბაზებს, მათი ერთმანეთთან დაკავშირების საკითხები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დარეგულირებული. ამჟამად მიმდინარეობს ამ სისტემის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები.

მეტეოროლოგიური, ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვების მონაცემთა ხარისხისა და მისი კონტროლის უზრუნველსაყოფად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. კერძოდ:

გამზომი ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვების საშუალებების მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა. თუმცა არსებობს გარკვეული სირთულეები სათანადო საკონტროლო ეტალონური ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო;

მონაცემთა ბაზაში ყოველწლიურად შედის გეომონიტორინგული კვლევებით მიღებული განახლებული ინფორმაცია გეოლოგიური საშიშროებების სფეროსთან დაკავშირებით;

სადამკვირვებლო პუნქტების გეგმიური ან მოულოდნელი მეთოდური ინსპექტირება;

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების დროს მათი ხარისხის მაკონტროლებელი სპეციალური პროგრამული საშუალებების გამოყენება, აგრეთვე – მეთოდისტების მიერ მონაცემთა შემოწმება.

მუდმივად მიმდინარეობს სადამკვირვებლების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ნაპირდაცვის სფეროში მონაცემთა ბაზაში განთავსებულია საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ავარიული ნაპირების შესახებ 700-მდე მონაცემი. ავარიული ობიექტები გარკვეული სიზუსტით დაყოფილია კატეგორიებად და ნაპირსამაგრ სამუშაოებზე განსაზღვრული ბიუჯეტის გათვალისწინებით შედგენილია სამოქმედო გრაფიკი.

ნაპირდაცვის სფეროში ინფორმაციის მიწოდება ხდება როგორც პრევენციების დასაგეგმად, ასევე სარეაბილიტაციო ღონისძიებების გასატარებლად. ინფორმაციის გაცემა არ ხდება დროის რეჟიმში. ეს შესაძლებელი იქნება საინფორმაციო სისტემების დანერგვის შემდეგ.

2009 წლიდან ორპუნის ცენტრის ვებ-გვერდზე ხდება ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის “შოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ” განთავსება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ვებ-გვერდზე სისტემატურად შექდება ქვეყნის მასშტაბით მომხდარი საგანგებო სიტუაციების და მათზე რეაგირების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია და, ასევე, ინფორმაცია უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებების შესახებ; აქვე მოცემულია სტატისტიკური ანალიზი, მოსლოდნელი საგანგებო სიტუაციების რისკის რუკები და საგანგებო სიტუაციებში ქვეყნის წესები. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის ფარგლებში, შსს-ს მონაწილეობით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა საგნის “სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება” სწავლება. განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ტრენინგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების თაობაზე. შსს პერიოდულად უზრუნველყოფს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან ერთობლივად პოპულარული მასალების მომზადებასა და გამოცემას საგანგებო სიტუაციებში ქვეყნის წესების შესახებ.

**XIV. მუხლი 5-ის საკიხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**  
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:  
<http://moe.gov.ge>; <http://aarhus.ge>; [www.rec-caucasus.org](http://www.rec-caucasus.org); [www.cenn.org](http://www.cenn.org); <http://police.ge>.

**XV. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუხლი 6-ში მოცემული დებულებების განხორციელებას, რომელიც ეხება კონკრეტულ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობას**

ჩამოთვალეთ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტულ საქმიანობათა შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ მე-6 მუხლის დებულებათა განხორციელებას.



განმარტეთ, თუ როგორ ხორციელდება მე-6 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:

- (a) **1-ელ პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:
  - (i) მე-6 მუხლის დებულებები გამოყენებულ იქნეს კონვენციის I დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
  - (ii) მე-6 მუხლის დებულებები გამოყენებულ იქნეს ისეთ საქმიანობებზე ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც კონვენციის I დანართში ჩამოთვლილი არ არის, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს გარემოზე;
- (b) რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაინტერესებული საზოგადოება სათანადოდ, დროულად და ეფექტურად იქნეს ინფორმირებული **მე-2 პუნქტში** ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე;
- (c) რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ვადები პასუხობდეს **მე-3 პუნქტის** მოთხოვნებს;
- (d) **მე-4 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების მონაწილეობა საკმარისად ადრეულ ეტაპზე მოხდეს;
- (e) **მე-5 პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული საქმიანობისათვის ნებართვაზე განაცხადის შემომტანის წასახალისებლად, რათა მან წინასწარ გამოავლინოს დაინტერესებული საზოგადოება, მიაწოდოს მას ინფორმაცია თავისი განაცხადის მიზნების შესახებ და დაიწყოს მასთან მსჯელობა;
- (f) **მე-6 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:
  - (i) სათანადო ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდოს დაინტერესებულ საზოგადოებას მე-6 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის დროს არსებობს;
  - (ii) კერძოდ, სათანადო ადმინისტრაციულმა ორგანომ საზოგადოებას მიაწოდოს აღნიშნულ პუნქტში მითითებული ინფორმაცია;
- (g) **მე-7 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის განმავლობაში საზოგადოებას საშუალება ჰქონდეს წარადგინოს თავისი შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი თუ მოსაზრებები, რომელსაც იგი შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებულად მიიჩნევს;
- (h) **მე-8 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს სათანადო ყურადღება მიექცეს;

(i) მე-9 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ, სათანადო პროცედურის შესაბამისად, საზოგადოება სწრაფად იქნეს ინფორმირებული მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

(j) მე-10 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ როდესაც ადმინისტრაციული ორგანო განაახლებს ან ხელახლა განიხილავს ნებართვას პირველ პუნქტში მითითებულ საქმიანობებზე, იქ სადაც მიზანშეწინილია, გამოყენებული იქნეს მე-2 – მე-9 პუნქტების დებულებები შესაბამისი ცვლილებებით;

(k) მე-11 პუნქტთან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ მე-6 მუხლის დებულებები გამოყენებულ იქნეს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

პასუხი:

კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება საქართველოში ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურაზე. პროცედურაში მონაწილეობის, აგრეთვე მისი პროცედურული ან არსობრივი კანონიერების გასაჩივრების უფლება აქვს არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პროცედურის საგაღმდეგო შემადგენელი ნაწილებია: საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენა და ამის შესახებ ცნობის გამოქვეყნება, კომენტარების მიღება, საჯარო განხილვის ჩატარება, გადაწყვეტილების გამოქვეყნება. პროცედურის დარღვევით მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ბათილია. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია გაასაჩივროს ამგვარი გადაწყვეტილება და მიაღწიოს მის ანულირებას. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის დადგენილი პროცედურა აკმაყოფილებს მე-6 მუხლის თითქმის ყველა მოთხოვნას:

(a) 2007 წლის 14 დეკემბრის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ჩამონათვალი. ყველა ამ საქმიანობათა განხორციელებას ესაჭიროება გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელიც მოიცავს მე-6 მუხლში მითითებულ პროცედურებს.

პასუხი არ შეესაბამება სინამდვილეს.

გაუგებარია, როგორ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესი კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ (ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის) პროცედურებს, როდესაც ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რომელიც საზოგადოების მონაწილეობას საერთოდ არ ითვალისწინებს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის შესაძლებლობა ეძლევა საზოგადოებას შესაბამისი უწყებისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ დანართში შესული ყველა საქმიანობას არ ესაჭიროება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება. საუბარი ზედმეტია

ისეთ საქმიანობებზე ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რომლებიც კონვენციის I დანართში ჩამოთვლილი არ არის, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს გარემოზე (ამ კითხვაზე რატომღაც პასუხი საერთოდ არ არის წარმოდგენილი). (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– იხ. თავი XVI-ს პასუხი. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(ბ) „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მუხლი 1, პუნქტი 2).

საქართველოს კანონმდებლობა ავალებს ნებართვის მაძიებელს, რათა მოაწიოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა მისი ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის სანებართვოდ წარდგენამდე (მუხლი 6).

იხ. კომენტარი წინა პასუხზე. ნებართვის მაძიებელი საჯარო განხილვებს აწვობს გადაწყვეტილების მიღების პროცედურის დაწყებამდე. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– იხ. პასუხი თქვენს კომენტარზე ამავე თავის (ა) პუნქტში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(ც) საზოგადოებასთან კონსულტაციებთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონით, რომლის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში ხდება საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღება (მუხლი 6, პუნქტი 4, ქვეპუნქტი ბ).

ეს არ პროცედურა არ ეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– იხ. პასუხი თქვენს კომენტარზე ამავე თავის (ა) პუნქტში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(დ) „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწიოს გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა (მუხლი 6, პუნქტი 4, ქვეპუნქტი გ). ამის შემდეგ მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებართვის მისაღებად.

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება როგორც ცენტრალურ ბეჭვით ორგანოში, ისე იმ რაიონის პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება, რომელსაც უზრუნველყოფს თვითონ ნებართვის მაძიებელი. ინფორმაცია, საქმიანობის შესახებ უნდა შეიცავდეს: დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებას, ადვილმდებარეობას, მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. ასევე, საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადას, საჯარო განხილვის

მოწყობის დროს და ადვილს.

(e) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად ინფორმაციის გამოქვეყნებამდე და განაცხადის ადმინისტრაციულ ორგანოში შემოტანამდე საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა განახორციელოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლა და მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს ამ ეტაპზე აწარმოოს კონსულტაციები საზოგადოებასთან. ამგვარი კონსულტაციების შედეგები ნებართვაზე განაცხადს თან უნდა დაერთოს.

(f) „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საჯარო განხილვის დროს საზოგადოებას წარუდგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან ერთად ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. მიიღოს საჯარო განხილვის დროს და მანამდე, საზოგადოების მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება. უზრუნველყოს საჯარო განხილვის ოქმის მომზადება და ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენა. ეს ინფორმაცია ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია (მუხლები 6, 7).

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 2-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა შეიცავს კომერციულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარმოადგინოს განცხადება განაცხადის კონფიდენციალობის შესახებ. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მიაწოდოს ტექნოლოგიური ციკლის სრული სქემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმიანობა შეიცავს საწარმოო, კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებას“.

აღნიშნული ფაქტი სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის დროს არ დაფიქსირებულა.

**კონვენციის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ეხება ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებებს და არა საქმიანობის განმახორციელებლის. აღნიშნულიდან გამომდინარე პასუხი არაა დაქვემდებარებული. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული პროცედურები დელეგირებული ვახლავთ საქმიანობის განმახორციელებელზე, რომელიც სავალდებულოა, მოცემულ პასუხში მითითებულია ის პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც ამ კონკრეტული ქმედებების განხორციელება აქვს დაკისრებული. აღნიშნული ნათლად ჩანს ანგარიშის პროექტში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(g) საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციის (განცხადების) გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები საქმიანობის განმახორციელებელს (მუხლი 6, პუნქტი 4, ქვეპუნქტი ბ). თავის მხრივ, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია გაეცნოს საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებს და მოსაზრებებს და გაითვალისწინოს მათი არგუმენტები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისას.

კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის განმავლობაში საზოგადოებას საშუალება ჰქონდეს წარადგინოს თავისი შენიშვნები, ინფორმაცია, ანალიზი თუ მოსაზრებები, რომელსაც იგი შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებულად მიიჩნევს. გაუგებარია რა კავშირი აქვს პასუხში მოცემულ პროცედურას გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– მოცემულ პასუხზე დამატებით, იხ. პასუხი თქვენს კომენტარზე ამავე თავის (a) პუნქტში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(h) აღნიშნული საკითხი რეგულირდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით, რომლის მიხედვით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორებისთვის გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზშ-ს ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში.

იხ. წინა კომენტარები. ამ ეტაპზე გამოთქმული შენიშვნები არ არის გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– მოცემულ პასუხზე დამატებით, იხ. პასუხი თქვენს კომენტარზე ამავე თავის (a) პუნქტში. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(i) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, „წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას“. ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილი კი განმარტავს, რომ „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება ეფუძნება პროფესიულ და სამართლებრივ დასკვნებს, თუ მათი არსებობა აუცილებელი იყო საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად. რეგულარულად მიმდინარეობს სანებართვო რეესტრის განახლება.

პასუხი გაუგებარია, არ პასუხობს კითხვას. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– თქვენს კომენტართან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: კონვენციის სამდივნომ შეიმუშავა სპეციალური შეკითხვები კონვენციის თითოეულ პუნქტთან

დაკავშირებით, რათა მათთვის ის კონკრეტული ინფორმაცია ყოფილიყო ქვეყნების მიერ მიწოდებული, რაც მათ ხელს შეუწყობდა კონვენციის განხორციელების რეალურ აღქმაში. ამ პუნქტთან დაკავშირებით შეკითხვა შემდგენაირად იქნა ფორმულირებული: “უხედა თუ არა გადაწყვეტილების არგუმენტირებული ნაწილი ფაქტებზე დაფუძნებულ, პროფესიულ და სამართლებრივ დასკვნებს, რომლებიც წამოწეულ იქნა პროცედურაში? თუ არ ეხება, მაშინ შესაძლებელია თუ არა, რომ ასეთი სახის უგულვებელყოფა გახდეს კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში მითითებული პროცედურის განხილვის საგანი”? რაზეც შემუშავებულ იქნა მოცემული პასუხი. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

(j) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა და შესაბამისად საჭიროებს გზმ-ს ნებართვას, რომლის გაცემისას დაცული უნდა იქნეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა (მუხლი 4, პუნქტი 2).

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ხელმოწერა განხილვასთან და განახლებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პირდაპირ ამგვარ ტერმინებს ეროვნული კანონმდებლობა არ იცნობს. თუმცა აღნიშნულთან შეიძლება გაიგივებულ იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებასთან ან ქმედებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირი ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამომცემი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. აღნიშნულ შემთხვევაში ამავე თავით დადგენილია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი. საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები, სადაც დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა, დაიცვას თავისი ინტერესები და ჩაატაროს ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენა ტარდება ღიად.

(k) ამჟამად სამთავრობო უწყებების მიერ განხილვის სტადიაშია კანონ-პროექტი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ, სადაც გათვალისწინებულია ორჰუსის კონვენციის პრინციპები.

**XVI. მუხლი 6-ის განხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები**

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-6 მუხლის დებულებების შესრულებას.

პასუხი:

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო გზშ-ს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობათა ჩამონათვალი უფრო ხისტი და ნაკლებად დეტალურია ვიდრე ორპუსის კონვენციის I დანართში მოცემული ჩამონათვალი და არ მოიცავს საქმიანობათა მთელ რიგ სფეროებს: როგორცაა სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული და მიწისქვეშა მოპოვება, ქაღალდის წარმოება-გადამუშავება, ნაგებობები, რომლებიც ფრინველის ან ღორის ინტენსიური გამრავლებისთვის არის განკუთვნილი, კვების პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობები, მათ შორის რძის დამუშავება და სხვ.

ამ პასუხის გათვალისწინებით ცოტა უცნაურია ამ ქვეთავის პირველ კითხვაზე პასუხი. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)

– იხ. პასუხი თქვენს კომენტარზე ამავე თავის პირველ კითხვასთან დაკავშირებით. (3.11.2010, ნ. გოსელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

გზშ-ს განხილვებში საზოგადოების მონაწილეობა დაბალია. საზოგადოების ინტერესი ძირითადად ეხება მსხვილ პროექტებს. ორპუსის ცენტრის მიერ ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე, საზოგადოების მონაწილეობის დაბალი ხარისხი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ, მთელ რიგ შემთხვევებში, საქმიანობის გამახორციელებელი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას და მის ხართვას გადაწყვეტილების პროცესში. პრაქტიკა აჩვენებს, რომ იმ პროექტებში, სადაც სათანადოდ განხორციელდა ინფორმირების და მონაწილეობის პროცედურები და, ასევე, საზოგადოებისათვის აქტუალურ პროექტებში, საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი მაღალი იყო.

გარდა ამისა, შეიძლება შემდეგი მიზეზების დასახელება:

საზოგადოების მონაწილეობისათვის საჭირო რესურსების სიმწირე (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსების), რაც შედეგად იწვევს რესურსების განსაზღვრული მიმართულებით კონცენტრაციის აუცილებლობას; არასამთავრობო ორგანიზაციების დაბალი ინტერესი. სასურველია, არასამთავრობო ორგანიზაციების მეტი დაინტერესება პროექტებში ჩართულობის თვალსაზრისით. ადგილობრივ დონეზე საზოგადოების დაბალი ორგანიზებულობა, საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციათა სისუსტე თემების და მცირე დასახლებების მასშტაბით.

## XVII. ღამათაპიტი ინფორმაცია მუხლი 6-ის დებულებების პრაქტიკული ბამოყენების შესახებ

მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია მე-6 მუხლის დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ. მაგ. სტატისტიკური ან სხვა ინფორმაცია კონკრეტულ საქმიანობათა შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ან იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებშიც, ეროვნული უსაფრთხოების მიზნების გათვალისწინებით, საზოგადოების მონაწილეობა არ მომხდარა.

პასუხი:

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პუნქტების 2-ის და 3-ის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა შეიცავს კომერციულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარმოადგინოს განცხადება განაცხადის

კონფიდენციალობის შესახებ. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მიაწოდოს ტექნოლოგიური ციკლის სრული სქემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმიანობა შეიცავს საწარმოო, კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებას“.

აღნიშნული ფაქტი სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის დროს არ დაფიქსირებულა.

საქართველოს კანონი “გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” ადგენს საქმიანობის გზშ-საგან გათავისუფლების წესებს. კერძოდ, კანონში (მუხლი 11) აღნიშნულია, რომ “საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გზშ-სგან, თუ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას”.

**რა შუაშია კანონში რა წერია, როცა კითხვა ეხება პრაქტიკულ განხორციელებას? (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– ვეთანხმებით თქვენს კომენტარს. პასუხი ფორმულირებული იქნება შემდგენიარად: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არ წარმოებს სტატისტიკა კონკრეტულ საქმიანობათა შესახებ, რომელიც ეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე. სამინისტროში წარმოებს იმ საქმიანობათა სტატისტიკა, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოების მონაწილეობა არ მომხდარა (საანგარიშო პერიოდში – 13). (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჰუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

**XVIII. მუხლი 6-ის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**  
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:

<http://www.moe.gov.ge>; <http://aarhus.ge>

**XIX. პრაქტიკული და/ან სხვა ზომები, რომლებიც, მუხლი 7-ის თანახმად, უზრუნველყოფენ გარემოსთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას**

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობას. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება.

პასუხი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოების მონაწილეობა გათვალისწინებულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით. [შესაბამისად განსაზღვრულია ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ჩამონათვალი.] რაც შეეხება გეგმებისა და პროექტების მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობას, ეწეობა საჯარო განხილვები და ხდება საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი კომენტარების განხილვა/გათვალისწინება.

**რა შუაშია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა?**

გთხოვთ, ჩამოთვალეთ გეგმები და პროგრამები, რომლის შემუშავება მოხდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული



**პროცედურით. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– ვეთანხმებით თქვენს კომენტარს. პასუხი იქნება ზევით მოცემული ფორმულირებით. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

**XX. საზოგადოების შესაძლებლობა, მუხლი 7-ის თანახმად, მონაწილეობა მიიღოს ბარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში**

აღწერეთ, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია საზოგადოებას გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის (სტრატეგიის, კონცეფციის) შემუშავებაში მონაწილეობისათვის.

პასუხი:

გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის (სტრატეგიებისა და კონცეფციების) შემუშავება ხორციელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. რეგულარულად ეწყობა აღნიშნული დოკუმენტების პროექტების საჯარო განხილვები საზოგადოების ჩართვის მიზნით. შესაბამისად ხდება წარმოდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინება.

**“რეგულარულად”?**

**რომელი პოლიტიკის/სტრატეგიის/ კონცეფციის დოკუმენტზეა საუბარი? (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– იხ. პასუხი თქვენს კომენტარზე თავი XI, პუნქტი (გ). (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

[სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სამინისტროში მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ არსებული ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.]

**პროექტების შესახებ ინფორმაცია რა შუაშია? (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– ვეთანხმებით კომენტარს. მოცემული პასუხი ამოღებული იქნება ანგარიშიდან. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

საქართველოს მთავრობის ინიციატივით 2005 წლიდან ქვეყანაში შემოღებულია და მოქმედებს “საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა” (Medium Term Expenditure Framework – MTEF). ამ ინსტრუმენტით თავად დაგეგმვის პროცესი უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

ამჟამად შემუშავებულია საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა 2011-2014 წლებისათვის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები აღნიშნული პერიოდისათვის.

**გეგმა რომ არსებობს კარგია, მაგრამ კითხვაზე პასუხი სად არის? (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)**

– ვეთანხმებით კომენტარს. მოცემული პასუხი ამოღებული იქნება ანგარიშიდან. (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორპუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

**XXI. მუხლი 7-ის განხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები**

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-7 მუხლის შესრულებას.

*პასუხი:*

საზოგადოების მონაწილეობა გათვალისწინებულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც არ მოიცავს სტრატეგიებსა და კონცეფციებს.

*ზედმეტად არაადეკვატური პასუხია. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)*

– ვთვლით, რომ პასუხი სავსებით ადეკვატურია, ვინაიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების მონაწილეობა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, განსაზღვრულია მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონით, რომელიც არ მოიცავს სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. აღარ გაგვიორდებოდა ანგარიშში და არ ვუთითებთ, თუ რა დოკუმენტების განხილვაში იღებს საზოგადოება მონაწილეობას, რომელიც მითითებულია ზედა თავებში.

**XXII. დამატებითი ინფორმაცია მუხლი 7-ის დებულებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ**

მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია მე-7 მუხლში მოცემული კონკრეტული ქმედებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დებულებების პრაქტიკული გამოყენების თაობაზე.

*პასუხი:* გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები და ქვეყნის სატყეო პოლიტიკის შემუშავების პროცესები, გარემოს მდგომარეობის ანგარიში, გარემოსდაცვით საქმიანობათა ეფექტურობის მიმოხილვა და სხვა.

*არ ვეთანხმებით ამ პასუხს. (18.10.2010, მწვანე ალტერნატივა)*

– იხ. ამ კომენტარზე პასუხი ზედა თავში (XI). (3.11.2010, ნ. გოხელაშვილი, ორჭუსის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი)

**XXIII. მუხლი 7-ის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**

სათანადო ინტერნეტ-მისამართები:

<http://www.moe.gov.ge>; <http://www.mof.ge>; <http://aarhus.ge>.

**XXIV. მუხლი 8-ის შესაბამისად, საზოგადოების მონაწილეობის ხელშესაწყობად გაწეული ძალისხმევა იმ ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ბავშვნა იძონიოს ბარემოზე**

აღწერეთ, თუ რა ძალისხმევა იქნა გაწეული საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის ხელშესაწყობად ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ გარემოზე. რამდენადაც მიზანშეწონილია, აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება.

*პასუხი:*

საკანონმდებლო დონეზე კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, “გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და “გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებგამოხე ზემოქმედების შესახებ” საქართველოს კანონით. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნორმატიული დოკუმენტების გამოცემისათვის, აგრეთვე გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, IX თავი). ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა გარანტირებულია კანონით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის თანახმად, საზოგადოების მხრიდან კომენტარების წარდგენის ვადაა 20 დღე. თითოეული ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს მის მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების განთავსებას მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებისას საჯაროობის უზრუნველყოფას ახორციელებს აქტის გამომცემი ორგანო და, შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები წარედგინება განსახილველად შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს.

**XXV. მუხლი 8-ის განხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები**

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-8 მუხლის შესრულებას.

პასუხი:  
კონკრეტული კანონპროექტების შემუშავებისას გვხვდება, როგორც საზოგადოების ფართო მონაწილეობის, ისე სრული არაინფორმირებულობის შემთხვევებიც. საზოგადოების დაინტერესების შემთხვევაში, მას ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა კანონპროექტების შემუშავების პროცესში. ხშირ შემთხვევაში, ეს ინიციატივა მომდინარეობს საზოგადოებიდან და არა სახელმწიფო უწყებებიდან. კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი მოთხოვნები პირდაპირ, იმპერატიულად გაწერილია ეროვნულ კანონმდებლობაში და მისი მოთხოვნების შეუსრულებლობის პრაქტიკა სახეზე არ გვაქვს.

**XXVI. დამატებითი ინფორმაცია მუხლი 8-ის დებულებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ**

მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია მე-8 მუხლში მოცემული საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ დებულებების პრაქტიკული გამოყენების თაობაზე.

პასუხი:  
აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული არ არის, მაგრამ, ამავე დროს, ადმინისტრაციული ორგანო ხშირ შემთხვევაში აქვეყნებს ინფორმაციას მის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე; ასევე ადმინისტრაციული ორგანოები მჭიდროდ თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის გავრცელება და პროექტების გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მაგალითად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შექმნილია „ნადირობის მართვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო საბჭო“, სადაც წევრის სტატუსით მონაწილეობას იღებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები. ასევე, კანონპროექტებთან დაკავშირებით,

შეიძლება ერთ-ერთ მაგალითად მოვიყვანოთ კანონპროექტი ეკოაუდიტის შესახებ, კანონპროექტი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სატყეო საააგენტოს შექმნის შესახებ“ და სხვა.

საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვის საფუძველზე ორპუსის ცენტრს მოეწოდება ინფორმაცია პარლამენტში შესული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში შემუშავებული კანონპროექტების შესახებ. კანონპროექტები და პარლამენტში მათი სავარაუდო განხილვის ვადები განთავსებულია ორპუსის ცენტრის ვებ-გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას მეტ-ნაკლებად დროულად იყენენ ინფორმირებულნი ამა თუ იმ მოსალოდნელი ცვლილების შესახებ და მიიღონ მონაწილეობა კანონით დადგენილი პროცედურების მიხედვით. სამართლებრივი მექანიზმის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოების მონაწილეობა ამ კუთხით, იქნება უფრო ეფექტური.

**XXVII. მუხლი 8-ის საპითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**  
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:  
<http://www.parliament.ge>; <http://moe.gov.ge>; <http://aarhus.ge>

**XXVIII. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-9 მუხლში მოცემული დებულებების განხორციელებას მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ**

ჩამოთვალეთ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-9 მუხლში მოცემული დებულებების განხორციელებას მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

განმარტეთ, თუ როგორ ხორციელდება მე-9 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:

- (a) 1-ელ პუნქტთან მიმართებაში, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:
  - (i) ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მის მიერ ინფორმაციის მოთხოვნაზე სათანადო რეაგირება არ მოხდა, ხელი მიუწვდებოდეს სასამართლოს ან სხვა, კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საკითხის გადასინჯვის პროცედურაზე;
  - (ii) თუ კანონმდებლობით დადგენილია ამგვარი გადასინჯვის პროცედურა სასამართლოს მიერ, ამ პირს ხელი მიუწვდებოდეს აგრეთვე სხვა, კანონმდებლობით დადგენილ ოპერატიულ უფასო ან იაფ პროცედურაზე საჯარო დაწესებულებების მიერ საკითხის გადასინჯვის ან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საკითხის განსახილველად, რომელიც არ შედის სასამართლო სისტემაში;
  - (iii) აღნიშნული პუნქტის შესაბამისად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები სავალდებულო იყოს შესასრულებლად საჯარო დაწესებულებისათვის; და რომ დასაბუთება ჩამოყალიბდეს წერილობით, იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც ინფორმაციის გაცემაზე ითქვა უარი.
- (b) რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეროვნული

კანონმდებლობის ფარგლებში, დაინტერესებული საზოგადოების წევრებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, ხელი მიუწვდებოდეთ სასამართლოს ან სხვა, კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საკითხის გადასინჯვის პროცედურაზე, ნებისმიერი გადაწყვეტილების, ქმედების ან უმოქმედობის პროცედურული თუ შინაარსობრივი კანონიერების გადასახედად, რომელიც მე-6 მუხლის დებულებებს ეწინააღმდეგება;

- (c) **მე-3 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუკი ასეთი არსებობს, ხელი მიუწვდებოდეთ ადმინისტრაციულ ან სასამართლო პროცედურაზე კერძო პირების ან საჯარო ორგანოების იმ ქმედებების თუ უმოქმედობის გასასაჩივრებლად, რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება;
- (d) **მე-4 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:
  - (i) 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემული პროცედურები ეფექტიანი გამოსწორების ზომებს ითვალისწინებდნენ;
  - (ii) აღნიშნული პროცედურები ამ პუნქტის დანარჩენ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ;
- (e) **მე-5 პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოებას მიეწოდებოდეს ინფორმაცია ადმინისტრაციული თუ სასამართლო პროცედურის ხელმისაწვდომობის შესახებ.

*პასუხი:*

*კონვენციის ამ მუხლის მოთხოვნები ძირითადად სრულდება:*

- (a) *ნებისმიერ პირს შეუძლია საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მისი უფლების დარღვევა გაასაჩივროს როგორც ზემდგომ ორგანოში, ასევე (ან, თუ სურს ამის შემდეგ) სასამართლოში. მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საჯარო დაწესებულებისათვის. ინფორმაციაზე უარის გაცემის შემთხვევაშიც, დასაბუთება უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნილი ფორმით.*
- (b) *ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის დამოუკიდებლობა გათვალისწინებულია და რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით – ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.*
- (c) *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს, თუ თვლის, რომ მისი უფლება იყო დარღვეული ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ან ქმედებით მას მიადგა ვარკვეული ზიანი ან შეიზღუდა მისი უფლებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად,*
- (d) *მე-4 პუნქტთან დაკავშირებით მიღებული ზომები გულისხმობენ*

კანონმდებლობით განმტკიცებულ შესაძლებლობებს, რაც დადგენილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-31-ე მუხლებით (მათგან მეტად საინტერესოა 31-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრამდე მიიღოს დროებითი განჩინება, როცა არსებობს საფრთხე, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებას), ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით – „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ“.

(e) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავით დარეგულირებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საკითხები. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით, საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნება, საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, და ა.შ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დეტალურად ასახავს: ადმინისტრაციული საჩივრის ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, ასევე მოქალაქის მიერ (ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის კუთხით ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოქალაქის მიმართ უფლებათა დარღვევის შემთხვევებში) სასამართლოში სარჩელის წარდგენის პროცედურებს (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი);

როგორც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, ასევე რიგი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ აქტიურ კამპანიებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებში მოქალაქეთა გათვითცნობიერებისათვის.

### **XXIX. მუხლი 9-ის ბანხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები**

აღწერეთ, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდა მე-9 მუხლის შესრულებას.

პასუხი:

სასამართლოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელების განხილვის ვადა ზოგჯერ აღემატება დადგენილ 2 თვეს (გასულ წლებში იყო ერთი შემთხვევა, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება 18 თვის შემდეგ იქნა გამოტანილი).

შედავათები სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებზე). გასულ წლებში, ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციას 1500 დოლარის ექვივალენტის ტოლი ბაჟის გადახდა დაეკისრა. საქართველოში ეს ძალიან დიდი თანხაა.

### **XXX. დამატებითი ინფორმაცია მუხლი 9-ის დებულებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ**

მოგვაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია მე-9 მუხლის დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ. მაგ. წარმოებს თუ არა გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების სტატისტიკა და არსებობს თუ არა დახმარების მექანიზმები

მართლმადგულებების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსურ ან სხვა დაბრკოლებათა შესუსტების ან მოხსნისათვის?

**პასუხი:**  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი (მუხლი 36). თუ მოხელე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და კანონდარღვევით არ გასცემს ინფორმაციას, მას დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.  
მოსამართლეების მიერ კონვენციის ტექსტის უშუალო გამოყენების პრაქტიკა უკვე არსებობს. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელთან დაკავშირებით (საქმე №3/2647-07 წ) და სხვა.  
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გარემოსდაცვითი მართლმადგულებების სტატიტიკა არ წარმოებს. თუმცა ორპუსის ცენტრი აწარმოებს ინფორმაციის შეგროვებას გარემოსდაცვით სფეროში სხვადასხვა საკითხზე აღძრული საქმეებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც განთავსებულია ორპუსის ცენტრის ვებ-გვერდზე.  
ორპუსის ცენტრის მიერ მომზადდა ბროშურა “როგორ მივმართოთ სასამართლოს ჩვენი ეკოლოგიური უფლებების დასაცავად”. ბროშურა გავრცელდა დაინტერესებულ მხარეთა შორის და ასევე ხელმისაწვდომია ორპუსის ცენტრის ვებ-გვერდზე.  
ორპუსის ცენტრის მიერ მომზადებული და ვებ გვერდზეა განთავსებული ინფორმაცია საერთო სასამართლოების სისტემის მოწყობის შესახებ. აქვეა ხელმისაწვდომი საქართველოში სასამართლოების საკონტაქტო ინფორმაცია.

**XXXI. მუხლი 9-ის საკითხებთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**  
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:

საქართველოს იუსტიციის საბჭო <http://www.coj.gov.ge>; საქართველოს უზენაესი სასამართლო <http://www.supremecourt.ge>; საქართველოს საერთო სასამართლოები <http://www.court.gov.ge>; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია <http://www.gyla.ge>, ასოციაცია ”მოითხოვე სამართალი” <http://www.alpe.ge>; კავშირი “კონსტიტუციის 42-ე მუხლი” <http://www.article42.ge>; ორპუსის ცენტრი საქართველოში <http://aarhus.ge>

**XXXII. ზოგადი შენიშვნები კონვენციის მიზნებთან დაკავშირებით:**

რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, აღწერეთ, თუ როგორ უწყობს ხელს კონვენციის განხორციელება დღევანდელი და მომავალი თაობების თითოეული პიროვნების უფლების დაცვას იცხოვროს სათანადო და მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაბამის გარემოში.

**პასუხი:**  
კონვენციასთან საქართველოს მიერთებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოქალაქეთა შესაძლებლობა, გააკონტროლონ, თუ როგორ იცავს სახელმწიფო მათ გარემოს, და აგრეთვე, შეიტანონ წვლილი გარემოს დასაცავად. ზოგადი ტენდენცია მიუთითებს საზოგადოების აქტივობის ზრდაზე, რაც შესაბამის გამოხმაურებას კპოებს სამთავრობო უწყებათა მხრიდან. თუმცა, შესაძლებელია საზოგადოების აქტიურობის გაზრდა შესაძლებლობის ღონისძიებების განხორციელების გზით

კონკრეტულ საქმეებში მონაწილეობა ასევე ზრდის იმ პირთა რაოდენობას და გამოცდილებას, რომლებსაც აქტიური პოზიცია უჭირავთ საზოგადოების განვითარების საკითხში.

**XXXIII. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები დანართი I (მეორე)-სა და მუხლი 6 (მეორე)-ს დებულებების განსახორციელებლად, რომელიც ეხება ბენეფიციურად მოდიფიცირებულ ორგანოების**

საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც ასორციელებენ მუხლი 6 (მეორე)-ში მოცემულ დებულებებს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქციისა და საბაზრო ქსელში მათი განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობას, აღწერეთ:

(a) მუხლი 6 (მეორე)-ს 1-ელ პარაგრაფთან დაკავშირებით და:

(i) დანართი I (მეორე)-ს 1-ელ პარაგრაფთან დაკავშირებით, რამდენად არის უზრუნველყოფილი ქვეყნის საკანონმდებლო მარეგულირებელ ჩარჩოში საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირებულობა და მისი მონაწილეობა იმ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მოცემულია მუხლი 6 (მეორე)-ს დებულებებში;

(ii) დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფ 2-თან დაკავშირებით, ქვეყნის საკანონმდებლო მარეგულირებელ ჩარჩოში არსებული ნებისმიერი სახის გამონაკლისი დანართი I (მეორე)-ში მოცემულ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურასთან დაკავშირებით და კრიტერიუმები ნებისმიერი ასეთი გამონაკლისისათვის;

(iii) დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფ 3-თან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული, რომ საზოგადოებას ადეკვატურად, დროულად და ეფექტიანად მიუწვდებოდეს ხელი გარემოში განზრახ ინტროდუქციისა და საბაზრო ქსელში განთავსებისათვის უფლებამოსილების მისაღებად წარდგენილი შეტყობინების შესახებ მოკლე ინფორმაციასა და, ასევე, შეფასების ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, ამ ანგარიშზეც;

(iv) დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფ 4-თან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ პუნქტში მოცემული ინფორმაცია არავითარ შემთხვევაში არ იქნეს მიჩნეული კონფედენციალურად;

(v) დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფ 5-თან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამჭვირვალობისა და შესაბამის პროცედურულ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც, მაგალითისათვის, მოიცავს შემდეგს:

- a. შესაძლო გადაწყვეტილებების ხასიათს;
- b. ინფორმაციას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილების მიღებაზე;
- c. საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით დანართი I (მეორე)-ს 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად შემუშავებულ ზომებს;
- d. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მითითებას, რომლებსაც განაცხადით შესაბამისი ინფორმაციის მიღება;



e. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მითითებას, სადაც შესაძლებელია კომენტარების წარდგენა; ასევე იმ ვადას, რომელიც საჭიროა კომენტარების წარდგენისათვის.

(vi) დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფი 6-თან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხორციელდებოდეს დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფ 1-ში განსაზღვრული დებულებები, რომლის თანახმადაც საზოგადოების წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა ნებისმიერი მისაღები მანერით წარადგინონ რაიმე კომენტარი, ინფორმაცია, ანალიზი ან მოსაზრება, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ საჭიროდ შეთავაზებულ განზრახ ინტროდუქციასა თუ საბაზრო ქსელში განთავსებასთან დაკავშირებით;

(vii) დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფი 7-თან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დანართი I (მეორე)-ს 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად ორგანიზებულ საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

*პასუხი:*

*შემუშავდა კანონ-პროექტი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ, სადაც სრულად არის გათვალისწინებული ორპუსის კონვენციის პრინციპები დანართი I (მეორე)-სა და მუხლი 6 (მეორე)-ს პრინციპების ჩათვლით. ამჟამად აღნიშნული კანონ-პროექტის განხილვა მიმდინარეობს სამთავრობო უწყებებში.*

**XXXIV. დანართი I (მეორე)-ს და მუხლი 6 (მეორე)-ს დებულებების განხორციელების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები**

აღწერეთ ნებისმიერი წინააღმდეგობა, რაც წარმოიქმნა დანართი I (მეორე)-ს და მუხლი 6 (მეორე)-ს განხორციელების დროს.

*პასუხი:*

**XXXV. დამატებითი ინფორმაცია დანართი I (მეორე)-ს და მუხლი 6 (მეორე)-ს დებულებების პრაქტიკული გამოყენების თაობაზე**

მოგვაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია მუხლი 6 (მეორე)-ს დებულებების პრაქტიკული განხორციელების შესახებ, რომელიც ეხება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქციისა და საბაზრო ქსელში განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას; მაგალითად, არის თუ არა ხელმისაწვდომი სტატისტიკური ან სხვა სახის ინფორმაცია ასეთ გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ან საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებიდან გამონაკლისების დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, რაც განსაზღვრულია დანართი I (მეორე)-ს პარაგრაფი 2-ით?

*პასუხი:*

**XXXVI. მუხლი 6 (მეორე)-ს განხორციელებასთან დაკავშირებული ინტერნეტ-მისამართები**

მოგვაწოდეთ შესაბამისი ინტერნეტ-მისამართები სადაც, შესაძლებლობის შემთხვევაში, მითითებული იქნება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ინტროდუქციისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების რეესტრი: